ერი და თავისუფლება

კავკასიაში ერთი ერია და მას დროშაც [illegible]
ჰქონდეს ეროვნული და სახელმწიფო ცხოვრების

მუზარადი

აგვისტო 1937 Aout
პარიზი PARIS
№ 1

კავკასიელ მუზარადელების ორგანო
Organe du mouvement liberateur de la
nation caucasienne
«MOUZARADI»

«მუზარადი»

ჩვენც გაზეთი გამოვეცით არა იმიტომ, რომ თქვან: "კიდევ ერთი გაზეთი გამოვიდაო".. არა, გაზეთების გამოცემის დღეში მონაწილეობას ვერ მივიღებთ, რადგან «მუზარადი» ახალი არაა, იგი 1930 წელში გამოვიდა "ადამიანოსანის" სახით. ასე-რომ "მუზარადი" დაბადებულია სამშობლოში და უცხოეთში გაჩენილ გაზეთების გამოცემის ეპიდემიასთან საერთო არაფერი არ გვაქვს

«მუზარადის» მიზანი უპირველესად ყოვლისა კავკასიელების გაერთიანებაა ერთ ეროვნულ შეგნებით, ერთ კავკასიელ ეროვნებაში და ერთ კავკასიურ ეროვნულ დროშის აფრიალება, რომლის მწვანე და ცეცხლის-ფერზე იქნება მახვილი და ამომავალი მზე გამოსახული- სიმბოლო ძლიერების, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების.

◆

მოწოდება

(ერის ბელადებსა და წინა-მებრძოლთ)

დღითი-დღე ახალ-ახალ დაშლის მოწამენი ვხდებით: კიდევ ახალი პარტია, კიდევ ახალი გაზეთი, კიდევ ვიღაცის ცემა, კიდევ ვიღაზეც ჭორი...

ამ „კიდევს" ბოლო არ აქვს...

თითეული „კიდევ" თითეულ დაშლის მაჩვენებელია.

ასე სულ დაბლა და დაბლა ეშვება ემიგრაცია..

ასე სულ შეუჩერებლივ ვითარდება შუღლი, გაუტანლობა და ერთი-მეორის ვერ მონელება.

არც ერთი ჟესტი, არც ერთი ხმა ამ დამღუპველ გარემოების შესაჩერებლად, პირიქით, როგორც ახალი ამბავი პირიდან პირში გადადის რაღაც ხალისით გულის მოსაფხან ღიმილის ქვეშ.

ერის გულშემატკივარნი სასოწარკვეთილებით ადევნებენ თვალყურს, რადგან ემიგრაცია ერთ-ერთ იმეცთაგანი ერის მონობასთან ბრძოლის მაჩვენებელი..

ის თავის არსებობით ეუბნევა ერს' რომ ნუ შედრკები მომავალი შენიაო.

ამიტომ ემიგრაცია, როგორც ეროვნულ ცხოვრების მომავალზე მიმთითებელი, თვითონ უნდა იყოს მთლიანი და დაშლის ანუ დაღუპვის თალას მოკლებული..

არ კმარა მარტო იმის თქმა, რომ ემიგრაციის ბედი ყოველთვის ასე იყოო..

არ არის მართალი.. საბჭოთა ხელისუფლების მეთაურნიც ემიგრანტები იყვნენ, ემიგრანტი იყო მუსოლინიც და და ათასი სხვა.

ჩვენში უნდა იყოს ძლიერი მიდრეკილება, რომ ერთი დაშლის წინააღმდეგ ორი გაერთიანება მოხდეს, ორი დაშლის სამი გაერთიანება და ასე მუდამ უპირატესობაში უნდა მოდიოდეს მთლიანობა.

მიზეზები დაშლის სრულიად ბუნებრივ [სამშობლო ნიადაგიდან მოწყვეტა, ნივთიერი გაჭირვება, იმედ-გაცრუება, მტრის ფარული მოქმედება...] გარემოებათა გამო, რათქმაუნდა, ბევრია, მაგრამ ცუდ პირობებში ადამიანი ავადმყოფობაზე ლაპარაკით კი არ უნდა ერთობოდეს, არამედ-და ებრძოდეს.

დაშლის წინააღმდეგ ჩვენ გაერთიანების პირობები-და ვეძებოთ.

ერთ-ერთ პირობათაგანი ჯერ ერთი ის არის' რომ თითქმის ყველა პარტიამა თუ ჯგუფმა ერთი-მეორის ზურგს უკან სცადა კომუნისტურ რუსეთის მლერ მტრებთან კავშირი ქართველ ერის სახელით მარტო თვითონ დაეჭირა და ამ გზით შემდეგ სამშობლოს მმართველად თვითონ მოვლინებოდა.

მაგრამ მალე თითეული მათგანი რწმუნდებოდა რომ ისედაც მცირერიცხოვან ერის მცირე ნაწილის სახელით გამოსვლა დაჯერებელი არ იყო და არც სასურველ შედეგებს იძლეოდა.

მცირერიცხოვანი ერი მთლიანი სახით უნდა გამოვიდეს თუ უნდა საერთაშორისო წონასწორობაში საანგარიშო, ან სავარაუდო ძალად გადაიქცეს.

ეს არის მთავარი რამ, რაც გაერთიანებას ხელს შეუწყობს.

მეორე, არა-ნაკლებ მნიშვნელოვანი ისაცაა, რომ ზოგი სხვა პარტიის დაშლაში ხედავდა თავის პარტიის გაძლიერებას და ამდენად იგი რღვევის პროცესს ნებით თუ უნებლიედ ხელს უწყობდა.

მაგრამ აქაც მწარედ მოსტყუვდენ: დაშლამ «ბელადობაზე გაგიჟებულთა» ხროვა გააჩინა' რომელთაც საკუთარი პარტიები სჭირდებოდათ «ბელადობის» გამოსაჩენათ.

მესამე, საყურადღებოა ისაც, რომ ერთი მეორეს [პარტიას' ჯგუფს, პიროვნებას] განზრახ «აგენტობის» სახელს უგდებდენ. რსთა სხვის გასვრითა და ბრძოლის რიგიდან გამოყვანით თავის საქმე მოეგვარებინა.

ეს სამარცხვინო იარაღად ხმარებული საქციელიც კლებულობს და ქართველიადმი პატივისცემა უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებს ყველა ჯგუფებში.

სხვა რომ აღარ დავასახელოთ ესაც საკმარისია რომ გაერთიანების სიქიან გამოიღვიძოს და ხმაგამოიღოს.

მართალია გაერთიანებაზე ყველა ლაპარაკობს, მაგრამ ვისაც ხმა ამოუღია, იმას იქვე თან თავის პროგრამაც წამოუყენებია გაერთიანების საფუძვლად და ამით დაუსწრია სხვებისათვის თავის აზრის გამოთქმა.

ან ვისაც დაუწყვია, იმას გაერთიანება თავისთვის მოუნდომებია.

ეროვნული მიდგომა პარტიული მიუდგომლობა გვავალებს უპირველესად ყოვლისა შერიგებას: არც ერთს არ უნდა ჰქონდეს უფლება თქვას: «ჩემი აზრი მიიღესო».

ყოველგვარი იდეოლოგია, პროგრამა-საფუძველი და კერძო პირის სიბრძნე დაჩუმებული უნდა იყოს გაერთიანების წინ.

გაერთიანების დაწყებისათვის საჭიროა მხოლოდ გრძნობა იმისა, რომ საერთაშორისო ოჯახისათვის ჩვენ ყველა ქართველები ვართ და რომ ამ საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა და გამოჩენა თვით ქართველ ერს უნდა.

«ქართველობა»-კი კუთვნილებაა ყველა ჩვენგანის, თითეულში იგი ყველა წოდებაზე და რწმენაზე მაღლა სდგას და ზრუნვასაც ყველას გვავალებს.

აი ამ ქართულ მოვალეობით მოგმართამთ და მოგიწოდებთ ერის ბელადნო წინა-მებრძოლნო ლტოლვილნო სამშობლოს თავისუფლებისათვის მისცეთ მაგალითი შვილის-შვილთ თუ როგორ უნდა გაერთიანება ერის გასაჭირში.

◆

ეროვნული გონიერება

(კავკასიურ პოლიტიკის ფესვები)

მუზარადიზმი

1

ერის პიროვნება და იდეათა რიგი

დედამიწაზე მობინადრე კაცთა მოდგმების ისტორია უხსოვარ დროიდან მომდინარეობს..ისაც, რაც გვახსოვს სავსეა ხალხთა დიდი და მცირე მოძრაობებით: რიგი სოციალურით რიგი ნაციონალურით, რიგი რელიგიურით.. მაგრამ არც ერთი რიგის მოძრაობა ისე დიდი და მღელვარე, ისე მასსიური და ერთდროული დედამიწის ყველა კუთხისათვის არასოდეს არ ყოფილა, როგორც დღეს არის..

არც, არც-ერთი რიგის მოძრაობის შემადგენელი მასსა არ ყოფილა მისული თავისით თავის სულისკვეთებით, თავის უფლებისა და თავისუფლებისათვის როგორც დღესაა.. ამ გარემოების გამო ჩვენი დროის მღელვარებაც ყველგან ღია-პოლიტიკურია!

კავკასია, როგორც ნაწილი დედამიწის ვერ ასცდებოდა საერთო მღელვარებას, პირიქით, მის ზურგზე უფრო მძაფრ გრიგალმა გადაიარა და, რაც სამწუხაროა, იგი დღესაც სასტიკ ულმობელობით მძვინვარებს.

მას ორი მკაცრად გარკვეული პერიოდი აქვს: ერთი სოციალურისა და მეორე ნაციონალურის.

სოციალურ მოძრაობის შედეგად აღსდგა კავკასიის უბნობრივი დამოუკიდებლობა მაგრამ ნაციონალურ შეხლის დროს-კი ისევ დაეცა კავკასიის უბნობრივი დამოუკიდებლობა მის შიწაწყალზე სხვა ერი გაბატონდა.

მხოლოდ კავკასია ომში არ დამარცხებულა 1921 წ. და ამით არ დაუკარგავს თავის დამოუკიდებლობა..

არც ეკონომიურ ფრონტზე მარცხს დაუღუპია იგი, როგორც ეს დიდ ომში გერმანიას დაემართა..

კავკასია დაამარცხა უვარგისმა პოლიტიკამ და მხოლოდ პოლიტიკამ

მარტო ეს გარემოება ავალებს კავკასიელ ერს, რომ თავის ყურადღება და ძალის ხმევა აქ მიიტანოს

ამასთან არა-ნაკლებ საყურადღებოა ისაც, რომ ჩვენ მეზობელ თუ შორეულ ერებმა კარგ პოლიტიკის წყალობით განახლება უკვე ჰპოვეს და ძლიერებისაკენ მიიწევენ.- სხვებიც რომ არ დავასახელოთ, სპარსეთისა და უფრო თურქეთის ძლიერების სარბიელ არედ ჩვენც ნაგულისხმევი ვართ...

კავკასიელ ერმაც აღარ უნდა დაიგვიანოს..

დროზე უნდა წამოიწიოს ულმობელ მრისხანებით და ძალას ძალა-და დაახვედროს, ხმალს ხმალი..

არავითარი სხვა შველა, არავითარი სხვა გზა!

«ინტერნაციონალი» სოციალისტურიც, ნაციონალისტურიც, ფაშისტურიც, რასისტული და დემოკრატიულიც «ერთა ლიგის» სახითაც ჩვენთვის, როგორც მალოდინებელი, მომცდენი ეროვნული ძალების მოუბრუნებლად უკუგდებული უნდა იქნეს.. ყველა მათი აზრი ჩვენთვის ერთია; «მოიცათ, ვიღაც მოვა.. მოიცათ, რაღაც მოხდება»..

მოცდა-კი: ვინც ომში ოდესმე ყოფილა, მან ძალიან კარგად იცის რომ შეარაღებულ ძალასაც, როგორც არის ჯარი, ადუნებს, შლის, ღირსებას უკარგავს და სად დარჩეს ერი.

აი ყველა ეს ერთად კავკასიელთა წინ მრისხანედ დგება და უბრძანებს კავკასიურ პოლიტიკის ფესვების მონახვას და მათზე ერის სახელმწ. ცოვრების განახლებას.

—.—.—.—.—.—

როგორც ერთი ადამიანის თავგადასავალი განსხვავდება მეორისაგან.. სულ ერთნაირ პირობებში- ძმებიც რომ არიან ადამიანთა თავგადასავალი სხვადასხვა არის.-

ასეც ერთა ცხოვრებასთან პოლიტიკა არის სხვა-და-სხვა

მაშასადამე ბუნებრივი პოლიტიკა არის ეროვნული აგებულობის..

მხოლოდ საზოგადო ასპარეზზე ერის პიროვნების გარდა მთელი რიგი იდეებისაც გამოდიან რომელთაც თავთავიანთი თავგადასავალი აქვთ

ზოგი მათგანი ერის წინააღმდეგია, ზოგი ერის მფარველობით არსებობს, ზოგი კიდევ ერით სარგებლობს.

ამ რიგით იბადება ანტიეროვნული პოლიტიკა ე. გ. ანარქისტული, კომუნისტური, სოციალისტური დემოკრატიული..., ერის რელიგიური პოლიტიკა, როგორც იყო მაგალითად ჯერ არაბეთისა მერე თურქეთის მაჰმადიანური პოლიტიკა..

ზოგჯერ პირიქით თვით ერი ეფარება იდეების რიგს თავის საქმისათვის, როგორც იყო საფრანგეთი დემოკრატიულ იდეების ქვეშ და როგორც დღეს რუსეთია კომუნიზმის ქვეშ ამოფარებული.

და ბოლოს ერით სარგებლობის იშვიათ, თუ ერთად-ერთს არა, ნიმუშს წარმოადგენს კავკასიელ მარქსისტების პოლიტიკა.

მაგრამ მანამ ამას შევეხებოდეთ ჯერ უნდა გავიგოთ თუ რა არის «იდეათა რიგი»?

იდეათა რიგი ისეთი მოძღვრებაა, რომელიც თავის **სარბიელად და საფუძვლად «ადამიანს» იღებს და არა «ერს».**

ერი ანუ მოძღვრებისათვის მოსახმარი საშუალებაა..

აი [illegible] ანუ იდეათა რიგი სახელდებით მარქსიზმი შემოვიდა და რა ურთიერთობა უნდა დამყარებულიყო ერსა და მის შორის?

ან იდეათა რიგი მარქსიზმის სახით უნდა მოფარებოდა კავკასიელ ერს და ფარულად თუ აშკარად ეკეთებინა თავის საკაცობრიო საქმე..

ან-და პირიქით კავკასიელ ერს მარქსიზმის ქვეშ უნდა ეკეთებინა ასევე ფარულად თუ აშკარად თავის ეროვნული საქმე..

და რა! კავკასიელ ადამიანებს მარქსიზმის დროშით რომ გაეერთიანებინათ მთელი კავკასია.. რომ კავკასიური წითელი ჯარით გადატრიალება მოეწყოთ სპარსეთ-თურქეთი დაეპყროთ და დაემყარებინათ მარქსისტული რეჟიმი ხალხთა კავშირის სახით.. მეორე ინტერნაციონალი მორჩილებაში ჰყოლოდათ..რომ ინდოეთში, ჩინეთში, შავკანიან კაცობრიობაში შეურიგებლობა შეეტანათ და მთელ დედამიწისათვის მოსვენება დაეკარგათ, და რომ ყველა ეს კავკასიურ საქმეთ მიეღოთ და ყველა მცირე-აზიელები კავკასიელებად ისე, როგორც დღეს ამას კომუნიზმის დროშის ქვეშ რუსები შვებიან- აი ეს იქნებოდა საქმე!

მაგრამ ეს არ მოხდა..

კავკასიის საუკუნეთა სანუკვარ საქმიდან არც ერთი არ გაკეთებულა, პირიქით მან მათ ხელში დაჰკარგა სახელი, ნივთიერი სიმდიდრეც და მოტყუებული, უომრად წაქცეული ვერაგ მტრის ჩექმის ქვეშ აღმოჩნდა.

ვამბობთ რა ამას არ გვავიწყდება ის როლიც, რომელიც კავკასიის დამოუკიდებლობის აღდგენაში ითამაშა თუმცაღა ბევრის აზრით მარქსისტებს აქაც არავითარი წვლილი არ მიუძღვით და გარემოებამ მათ ეს ძალით მოახვია.. არ არის ეს მართალი..

მიუდგომლობა პირიქით ამბობს, რომ მათ ორგანიზაციულ მოქმედებამ დაშლილ რუსულ ჯარების წინააღმდეგ თვით შექმნეს ეს მდგომარეობა და დამოუკიდებლობის გამოცხადებაც მისი ბუნებრივი შედეგი არის.

მარტო ის, რომ ამ დროს ასპარეზზე ეროვნულ ძალების ორგანიზაციული მოქმედება არ სჩანს და კავკასია-კი გადარჩა ბოლშევიკურ წალეკვას-, მენშევიზმს დიდ პროგრესიულ ძალად აცხადებს.

სამწუხაროდ, მერე უკვე საკაცობრიო საქმეებისათვის დამარცხებულმა თავის იარაღად აღებული კავკასიელი ერიც დამარცხებული და შერცხვენილი გამოიყვანა..

მაგრამ ეს იყო მაშინ, დღეს აღარ არის..

მარქსიზმი არსებითად «იდეათა რიგიდან გამოვიდა და ეროვნულ ძალად გადაიქცა კავკასიაში იმ დღიდან, რაც უცხო ძალა დამკვიდრდა.

ისე, როგორც წყალში ჩაშვებული ცხელი რკინა იცვლის თვისებებს, ასევე დიდი ცვლილებები განიცადა იმ «მასალამ», რომლის სახითაც მარქსიზმი იყო..

ასე-რომ-ვთქვათ, გაკავკასიურდა- თუმცაღა ფორმალურად ის კიდევ ძველ საკაცობრიო დროშითაა, რასაც ბრძოლის სტრატეგია თუ მოითხოვს..

ასევე და ამავე მიზეზით გაეროვნულდა «ეროვნულ-დემოკრატიული», «მუსავატური» და «სოციალ-ფედერალისტური» მასსა და, როგორც პოლიტიკური დაჯგუფებები, ისინიც გამოვიდნენ იდეათა რიგიდან.

ასე რომ დღეს კავკასიაში არც ერთი «იდეათა რიგის» პოლიტიკური ძიმდვრება აღარ არსებობს..

იქ მხოლოდ მთლიანი კავკასიელი ერია ერთნაირი სულისკვეთებით ერთნაირად მოწყურებული მონობის უღლიდან განთავისუფლებისათვის და როცა მთელი ერია, როცა მის მოძრაობაში ერის პიროვნება მოსჩანს და არა პარტიის, მაშინ თვით მოძრაობასაც ისეთი სახელი ეწოდება, რომელიც განასხვავებს სხვა ერის მოძრაობიდან.

ასეთ სახელად კავკასიურ მოძრაობისათვის შეიძლება მხოლოდ «მუზარადიზმი», სიმბოლო თავდაცვისა და თავისუფლების.

აქედან ბრმათათვისაც ნათელია, რომ ფაშიზმი იდეათა რიგს არ ეკუთვნის და არც შეიძლება იყოს სხვა ერის: იგი ერთ- იტალიელ ერის პიროვნებაა.

ასევე რასიზმი გერმანელ ერის პიროვნებაა. პილსუდციზმი პოლონელის, ქემალიზმი თურქის...

ამრიგად მუზარადიზმი არის კავკასიელ ერის სულისკვეთების გაგება და მის გამარჯვების გზაზე გამოყვანა.

დასასრულ პოლიტიკის ბუნებაზე უნდა ვთქვათ რომ იგი მძიმე მოვალეობასთან ერთად ბრძოლაა უფლებისათვის

მხოლოდ კარგ ეროვნულ პოლიტიკას იარაღად უნდა ჰქონდეს ნიადაგი ანუ ისტორია, მოქმედებითი ძალა ანუ მასსა და შემოქმედებითი შესაძლებლობა.

ყველაზე უმნიშვნელოვანესი ეს შემოქმედებითი შესაძლებლობაა, რადგან ხალხთა პოლიტიკაში ხშირად ისტორიაც არის, მასსაც, მგრამ არ არის ეს უკანასკნელი

გერმანულ პოლიტიკასა და გერმანულ მასსას კი დევ უნდოდა ჰიტლერის შემოქმედებითი შესაძლებლობა, რომ ერი განახლებულიყო, გადაეშალა ახალი ფურცელი.

ასევე კავკასიურ პოლიტიკასა და მასსასაც უნდა მოვლინებოდა დავით აღმაშენებელის შემოქმედებითი სტიქია, რომ მეთორმეტე საუკუნის კავკასია ასე მაღლა აზიდული, ასე მხიურ მიმზიდველობით შემოსილიყო.

⁂

2

ისტორიის წინ

ერი თავის ისტორიის წინ ისეა, როგორც ადამიანი თავის წარსულის.

საკმარისია ადამიანმა გაიხსენოს გავლილი დღეები, რომ მთელი თავის წარსული თვალწინ გადაეშალოს.

ჩვეულებრივად კი როდის გრძნობს ადამიანი თუ ის მუდამ თავის წარსულის წინ იმყოფება და რომ ამასთან წელზე წაბმულ ბაწარისავით თან იწევს დღეც, ღამეც აგრძელებს თავის სავალ გზას მომავლისკენ მიმავალი.

მაგრამ გამოჩნდება თუ არა საბედისწერო მოსახვევი, ან აღმოხდება თუ არა მძიმე სუნთქვა ის პირს უკან იბრუნებს, დგება თავის წარსულის წინ.

სწორედ ასეა ერის ცხოვრებაც: ერიც მუდამ თავის წარსულთან გადაბმული, მუდამ გამგრძელებელი, მუდამ არ იგონებს მას.

არა, ის მხოლოდ მძიმე წუთებში გაიხსენებს, მოიგონებს თავის წარსულიდან სადიდებელ ადგილებს და მის წინ გაჩერებული ლოცულობს სახელოვან წინაპართა სულის გამოსაღვიძებლად თავის რიგებში და ასე შეარაღებული ახალი მტრის შესამუსრად ეზადება.

ამაზე მახვილი იარაღი სხვა არ მოინახება..

ამაზე უძლეველობის ძალას სხვა ვერსაიდან ვერ მიიღებს.

და როდის გაჩერდა კავკასიელი ერი თავის ისტორიის წინ ამ მახვილისა და ამ უძლეველობის ძალის მისაღებად?

1918 წელში, როცა მან თავის დამოუკიდებლობის აღდგენა აუწყო ქვეყანას..

და პირველ წუთსვე, პირველი აქტით ისტორიისა და ერის შორის ბნელი ფარდა ჩამოუშვეს და სამკვდრო-სასიცოცხლოდ საპირონი ერთმანეთს გაჰყარეს.

რა აქტი იყო ესოდენ საბედისწერო?

აქტი კავკასიის (საქართველო) დამოუკიდებლობის გამოცხადების პირდაპირ ასე სწერია: „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“ ასე სწერენ დღესაც და ვერ ხედამენ იმ ბედისწერას, რომელმაც დამოუკიდებლობა დამარხა.

რა არის საბედისწერო აქ? ის, რომ დამოუკიდებლობაა გამოცხადებული და არა დამოუკიდებლობის აღდგენა.

არ არის ერთი-და-იგივე, მკითხველო ჩემო, ისე—როგორც დღე არ არის ღამე და პირიქით.

მართლაც, როგორ შეიძლება ერს, რომელსაც მრავალ საუკუნეების მანძილზე დამოუკიდებლად უცხოვრია, ისიც საქვეყნოდ ცნობილი. კაცობრიობის გამანცვიფრებელ ვაჟკაცობით და შენ კიდევ მისი დამოუკიდებლობა გამოაცხადო.

ეს იგივეა ერთხელ უკვე ცნობილ ცოცხალ კაცზედ კიდე განაცხადოთ: „ცოცხალი არისო.“

მაგრამ თუ გინდათ ამ კაცის სიცოცხლე მეორედ «ან მესამედ...» ქვეყანას აუწყოთ‘ მაშინ უსათუოდ უნდა აღნიშნოთ, რომ იგი ავად იყო.. მის განკურნებაზე უნდა ილაპარაკოთ, თორემ ეგონებათ ამგვარი კაცი ახლად დაბადებული, ერთი-ორი დღისა და არა მრავალწლოვანი.

ასეც ერის წაქცეული დამოუკიდებლობა ახლად არ იბადება და მისი აღდგენის არ აღნიშვნით მცირდება ერთი-ორი დღისა ხდება მისი დიდი წარსული.

სულ სხვაა როცა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა: ეს ბუნებრივი აქტია, რადგან მათ მართლა პირველად დაიწყეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

ასევე ბუნებრივი იქნება, რომ სრულიად ველურმა ტომებმა, რომელთაც ჯერ სახელმწიფოებრივი ცხოვრება არ უნახამთ, ასეთის დაწყების აქტი გამოაცხადონ, მაგრამ ჩვენ რა?. ჩვენი ველურობა ხომ არვის არ ახსოვს? მარა მთავარი მაინც ეს არ არის..

უფრო საყურადღებო ისაა, რომ ეს ვითომ-და უმნიშვნელო რაღაც «აღდგენის» არ გამოცხადება ნამდვილად «თვალია» იმ, ეგრეთ-წოდებულ, მენშევიკურ ორგანიზმის, რომელიც ერს მესვეურად მოევლინა.

იგი გვიჩვენებს მესვეურთა ეთელ შინაარს და გვეუბნევა, რომ მათ არასოდეს ერის ისტორიაზე არ უფიქრიათ, არ უფიქრიათ ეროვნულ ცხოვრების აღდგენაზე, რომელიც ასი წლის მანძილზე წაქცეული იყო..

იგი ლაპარსკობს იმაზე, რომ აროდეს ეროვნულ ჭმუნვით არ ყოფილან შეპყრობილნი, არა, არა..

არც იმ ისტორიულ მომენტში აგონდებოდათ იგი არც მისი მომავალი აწუხებდა მათ.

დამოუკიდებლობის აღდგენის არ აღნიშვნა ნიშნავდა იმას, რომ რაღაც ახალი დაიბადა, დაიწყო ახალი ცხოვრება. რა იყო ეს ახალი-

ანტი-ეროვნული სოციალისტური ხელისუფლება.

——...——

იქნებ სიტყვით არ თქვეს და საქმით აკეთებდენ იმას, რაც ერს უნდოდა,. იქნებ დიდი სიბრძნით, გამანცვიფრებელ სტრატეგიით იყო ნაკარნახი ეს-

რატომაც არა!

შეიძლება გარეთ-მსოფლიოს ერთი უთხრა და შინ, შენ სახლში სხვა აკეთო, რადგან ერი არსებითად ც:-

---

ეროვნული ომები და ქალი

ბევრნი ფიქრობენ, რომ მომავალში ომები მოისპობიან ინტერნაციონალური საშუალებებით‘ სხვანი კიდევ წინააღმდეგ იმ აზრისანი არიან, რომ ომები ისე,-როგორც აქამომდის- მომავალშიც გადაუჭრელ საკითხებს დროდადრო მოაწესრიგებენ.

მაგალითად კავკასიელ ერს ნახევარი თავის მიწაწყლის დაკარგული აქვს და ძნელია, რომ იგი ლაპარაკის წესით ვინმემ უკან დაუბრუნოს.

ამიტომ დღეს როცა ეროვნულ ომების აღორძინებას ვხედამთ სიხარულით გული გევსება: იქნებ ახლო მომავალში კავკასიურ საკითხსაც სამართლიანი გადაწყვეტა ეღირსოს.

ჩვენი რწმენითაც ომიანობის მოსპობაზე ფიქრი დღეს მაინც ბავშური ოცნებაა, რომელსაც სინამდვილე მწარედ დასცინის. ომები უთუოდ იქნებიან მომავალშიც და გვინდა აქვე მეორე რიგის გულუბრყვილობა აღვნიშნოთ დიდათ მავნე ჩვენ ქვეყნისათვის: არიან ისეთებიც, რომელთაც სჯერათ რომ იქნებიან ომები, მხოლოდ ფიქრობენ “ჩვენ რა, ნეიტრალიტეტს შევინახამთო„.

ეს [illegible] ფიქრი და მით უფრო არაფერი საშუალება არ არის. არავინ არ იცის ომი როდის, სად გაჩნდება, ან რომ გაჩნდება ერთ ადგილას მერე როგორ გაფართოვდება და ვის ჩაითრევს.

თუ ეს ასეა ყველა ამისათვის მზად უნდა იყოს, უფრო ჩვენ კავკასიელები გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივ სიმდიდრის გამო.

მაშ უნდა მივიღოთ ურყევ დებულებად, რომ ომები იქნებიან მომავალშიც და მათ გარეთ ვერც ჩვენ დავრჩებით

——————

ომების გარდუვალობის გარდა საჭიროა ცოდნა კიდევ იმისა, თუ რა ხასიათისანი იქნებიან ისინი ვარაუდით მაინც, რომ იმის-და მიხედვით ვემზადოთ.

ომის წარმოების ტეხნიკის განვითარება გვეუბნება, რომ მომავალში “ფრონტი„ და “ზურგი„ აღარ იქნება, არამედ მთელი ერი ჩაებმება ომში მთელ თავის მიწაწყალზე.

ეს გარემოება გვავალებს მთელი ერის წვრთნასა და მზადებას. ერის ნახევარ ნაწილს კი ქალი შეადგენს . ერის ქალური ნაწილი დიდათ სავარაუდო ძალაა.

ამიტომ უნებლიედ დგება- ქალის როლი მომავალ ეროვნულ ომებში.

ეს საკითხი უფრო მწვავე სახეს მიიღებს მცირე-რიცხოვან ერებისათვის, სადაც ცოცხალ ძალაზე დიდი მოთხოვნილება იქნება.

მაგრამ ჩვენთვის საყურადღებო იმ მიდგომითაა ქალის როლი ეროვნულ ომებში, რომ როცა ერი ომში შედის და ამით მისი ყოფნა არ-ყოფნის საკითხი წყდება- აქ ერის მამაკაცურ ნაწილთან ერთად ერის დედაკაცური‘ ნაწილიც იარაღით ხელში უნდა იყოს და არა დავლას წარმოადგენდეს გამარჯვებულ მტრისათვის ვით საქონელი..

მაგალითად დღემდის, მტერი იმარჯვებდა და შემოდიოდა ჩვენ მიწაწყალში, იგი მამაკაცურ ნაწილს მუსრს ავლებდა და სხვა ყველაფერ- სარჩო-საცხოვრებელს, პირუტყვს და მათთან ქალსაც თავისთვის ინახავდა.

ამ გზით ქალი ხდება მტრის გამრავლების ნიადაგად.

მეტიც, მტერს აძლევდა ეროვნულ სისხლს, მამაცობას... ასე-რომ ქალი მტერს აძლიერებდა და თავის ერის დასაცავად-კი ხელს არ ანძრევდა.

ეს სირცხვილი ქალმა თვითონ უნდა მოიცილოს.

ის უნდა ამაღლდეს იმ შეგნებამდის, რომ თვითონ ერის ნახევარ ნაწილს წარმოადგენს და მის ფიზიკურ სიცოცხლის დაცვაში თვითონაც იარაღით ხელში მონაწილე უნდა იყოს.

არც ერთი წვეთი სისხლი მტერს, არც ერთი სუნთქვა!

ანდა აბული

ვისებური ლაშქარი და ჯარის საიდუმლოებანი სხვებმა არ უნდა იცოდენ.

დღეს ჩვენი თვალით ვხედავთ დემოკრატიული და არა დემოკრატიული სახელმწიფო სიტყვით თითო „შვიდობიანობის" თქმაზედ საქმით თითო ზარბაზანს აკეთებს და თითო „ცივილიზაციის" თქმაზე კი ხუთ-ათ ზარბაზანს.

ეს სხვები, ჩვენ? ჩვენ რა გვქონდა უწინ საზრუნი?

ის, რომ ერის სხეულის აღდგენისას მისი სულიც უნდა აღდგენილიყო.

შეუძლებელია მძინარე ადამიანი ისე გამოაღვიძოთ, რომ მას თავის სულიც არ აჰყვეს, არ აჰყვეს თავი ზნეჩვეულებანი.

ან ბორკილებიდან ამოღებულმა რომ მხოლოდ სხეული წამოიღოს თავისი და სული ვინაობა თავისი იქ დაავიწყდეს.

რომ მოხდეს კიდეც, მაშინ ასეთ ადამიანის სულსა და სხეულ შორის ისეთი უთანხმობა ჩამოვარდება იგი სხვა იქნებიან მისი ბუნების მოძრაობანი, რომ ვეღარ ვიტყვით „ეს ისაა, რომელსაც მონობამდის ვიცნობდით."

რომელ შემთხვევას ჰქონდა ადგილი კავკასიელ ერის ასი წლის მონობიდან განთავისუფლების დროს?

საქმით უდაოდ მეორეს: მონობის ძილიდან გაღვიძებულ, განთავისუფლებულ ერს არ აჰყოლია თავისი სული.

სული თავისი ეს ძალა უძლეველობის ისევ ბორკილებში დარჩა დამონებული.

გამანთავისუფლებელმა თავის სული ჩაბერა...

გამანთავისუფლებელი კი იყო ეგრედ წოდებული მარქსისტული რევოლიუცია.

ამრიგად 1918 წელსა და 1921 წელ შუა მანძილი კავკასიელ ერის ფიზიკური აღდგენის ხანაა მარქსისტული სულით.

უდიდესი საბუთი ამის ის წითელი დროშაა, კავკასიის დამოუკიდებლობის ტახტის თავზე რო ფრიალებდა. მარქსის წითელი დროშა აუწყებდა, კაცობრიობას, რომ იქ კავკასიაში მისი სრული ბატონობაა-..

რათქმაუნდა დღეს ჩამოხსნა შეუძლებელია!!

იგი ისტორიამ ჩამოფხრიწა და ჩაიბარა, როგორც უტყუარი ძეგლი დედამიწის ამ კუნჭულში საშიშ, საერთაშორისო ჭირის მძვინვარებისა.

მერე, გარეგნულად ვითომ წვრილი, მაგრამ არსებითად მათი საქმიანობისათვის ფრიად მჭერმეტყველია, ეგრედ წოდებული, წმენდა.

რასაკვირველია საუკუნეების მანძილზე უპატრონოდ მიგდებული კავკასია ჰამარგვლასა და წმენდას მოითხოვდა, მხოლოდ არა კავკასიელებისაგან, არამედ იმ მავნე ძალებისაგან რომელნიც უკუღმართ დროს შემოეყარა ერის წიაღში

და პირიქით, ამ მავნე ძალებმა ახალი ნიადაგი ჰპოვეს სწორეთ კავკასიელების წინააღმდეგ.

მათი შთაგონებით საუკეთესო სარდლები და ჯარისკაცები სასტიკად იდევნებოდენ სახელმწიფო ცხოვრებიდან და იმათ ადგილებს თვითონ იკავებდნენ-

ივანოვი და გოხიც (რომლებიც კავკასიის დამარხვის დროს-კი არ უნდა დაეწვათ, არამედ დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე) რომ არ დავასახელოთ ლევანდოვსკი და კიროვიც საკმარისი არიან.

ორი დიდი სამწუხარო ტომი დაიწერება ამ ორი პიროვნების როლის აღწერით კავკასის ხელისუფლების ეროვნულად დაქვეითების, ჩრელობის, გულუბრყვილობისა და «მარქსისტულ არშიყობის» გამოსაჩენად.

ელჩის ხამოსში გამოხვეული ნამდვილად კი ჯაშუშთა ლეგიონის მეთაური და აჯანყების მომწყობი კიროვი ყველამ იცის, მაგრამ ასე ცნობილი არ არის მეორე არა ნაკლებ პიროვნების საქმიანობა- ეს გახლავთ ლევანდოვსკი.

მარტო ის რომ კავკასიაში შემოჭრილ ჯარების უფროსად დანიშნეს გვეუბნევა იმას, რომ დამოუკიდებლობის დროს მისი ცხოვრება კავკასიაში უსარგებლო არ ყოფილა მოსკოვისათვის.

უთუოდ ის «წითელი ბარათოვი» იყო, რომელიც უფრო მეტად იღვწოდა კავკასიის დამოუკიდებლობის დაღუპვისათვის, მაგრამ მისთვის არც ყუმბარა უსროლიათ, არც შეწუხებულან მისი იქ ყოფნით, პირიქით, მასთან ფრიად თბილ ურთიერთობაში ყოფილან და დიდ მფარველობასაც უწევდნენ თვით მთავრობის წევრები.

ამის შემდეგ განა სახსენებელია ის, რომ რკინის გზიდან დაითხოვეს უამრავი რუსები ენის არ სწავლისათვის ან რომ კავკასიურ ენაზე იყო ამ დროს სწავლა-განათლება, მიწერ-მოწერა და სხვა? რათქმაუნდა არა..

რადგან კავკასიურ ენაზე, კავკასიელ ადამიანების სახით ხელისუფლების ყველა საქმიანობა იყო არა ეროვნული, არამედ უსამშობლო-სოციალისტური..

ყოველგვარ მოვლენისა და მომხდარ ამბების მიმართ საზომი მუდამ მარქსისტული ეჭირა ხელში ხელისუფლებას.

მართლა რომ ერის ბედზე ეფიქრათ ასი წლის მონობის ქვეშიდან წამომდგარ ერს სულიც თავისი აჰყვებოდა გაიღვიძებდენ თავის ზნე-ჩვეულებანი და სამ წელში კი არა, სამ დღეში აღსდგებოდა კულტი დავით აღმაშენებლის, როგორც სიმბოლო ეროვნული ერთობის, ეროვნული ძლიერებისა და და ეროვნული მომავლის.. როგორც საფუძველი ეროვნულ ცხოვრების განახლებისა.

ან როგორ შეიძლებოდა საუკუნე მონობიდან გაღვიძებულ კავკასიელთ არ სცოდნოდათ თავიანთი დიდი ვინაობა დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის სახით.. თავიანთი შეუკავებელი უშიშროება მისი ლაშქრობით.. თავიანთ შემოქმედებითი ძალა დავით დიდის უძლეველობით, თავიანთი მთლიანობა და მომავალი, როგორც მალული ბიძგი, როგორც მუდამ მამოძრავებელი ძალა თავისუფლების, უძლეველ სასახელო ცხოვრების.

როგორ შეიძლებოდა დაბნელებული ეროვნული ცხოვრება არ გაენათებინათ, აღმაშენებლის დიდი ეროვნული გონიერებით, არ გაეხსენებინათ ის, რომელიც სახელმწიფო მოღვაწის იშვიათი პიროვნებაა საერთაშორისო ისტორიაშიც, არ გაესხენებინათ მხედართ-მხედარი, რომელმაც ახალი სამხედრო ხელოვნება შექმნა და უძლეველობის გვირგვინი ატარა დედამიწაზე.

აბა თუ ყოფილა შემთხვევა დამოუკიდებლობის ხანაში, რომ აღმაშენებლისთვის ძეგლი აეგოთ, რაიმე უბრალო რამით თუ გაეხსენებინოთ, ან ერთი უბრალო ქადაგი თუ გინახავთ მღაღადებელი ამის, ან თუ სამხედრო აკადემია გაგიგონიათ მისი სახელობის, ან სკოლა უბრალო მოგონებისათვის, ან თუ დაწერილა რამე მის სახელმწიფო სიბრძნეზე, დიდ ეროვნულ გონიერებაზე? არა, არა..

აბა მარქსი ახსენეთ! ამ მავნე უსამშობლო უცხოელის ძეგლს ყველა დაბა ქალაქში არა ერთს ნახავდით.

მარქსის სახელობის სამკითხველოებით ქვეყანა მოფენილი იყო.. მარქსის სურათი ჩვენ-და სამარცხვინოდ ყველა სახელმწიფო დაწესებულებში ეკიდა.. მარქსის ნაწერების ხომ წასალეკი ღვარი სდიოდა.

პირდაპირ გვიკვირს საიდ ჰქონდა ამ ხალხს ამდენი დრო, ენერგია..

ისე რომ ჰკითხოთ, რიხიანად მოგიგებენ: **„სამ წელწადში ყველაფერს ხომ ვერ გავაკეთებდით-ო"**

კი მაგრა, რაღა **მარქსიზმზე მოასწარით,** რაღა **მარქსიზმისათვის გააკეთეთ ყველაფერი!**

იქნებ ცდა იყო

კი დამოუკიდებლობის აღდგენის ხანის ხელისუფლებან არ ინები ეროვნულ ცხოვრების განახლება, მაგრამ იქნებ სხვა ვინმემ სცადა, ან იფიქრა ამ დიდ გარდუვალ ეროვნულ საქმის გაკეთება?

არა, არა.. არ იყო არც ერთი პარტია, მიუხედავად პარტიათა სიმრავლისა, არ იყო არც ერთი ჯგუფი, არც ერთი ნაკადი, ტალღაც კი რომ ეს ეცადოს..

არ იყო არც ერთი პიროვნება უბრალო ქადაგის სახითაც კი მღელვარე, პოლიტიკურად გამოღვიძებულ კავკასიაში რომ ეს ეღაღადოს.. ეს ისე უცნაური ისე საკვირველია, რომ არ გჯერა ვინმე არ ყოფილიყო ამ დიდ ეროვნულ საქმისათვის დევნილი, დასჯილი, ციხეში ჩაგდებული მავნე მარქსისტულ ხელისუფლების მიერ.

კაცი, კაცი არ იყო ეროვნულ რევოლუციაზე ეფიქრა, გამრუდებულის გასწორებაზე.. სიცოცხლის დადებით, იარაღის აღებით სახელმწიფო ცხოვრების ძალით გადატრიალებაზე კიდევ თუ ვინმე იყო დასჯილი ეს პროფ. შალვა ნუცუბიძეა, რომელსაც კავკასიის სინამდვილის დანახვისათვის მუშტით თვალი დაუბუჟეს.-

და დღეს კი ამ ფიქრით შებოჭვილი ძალიან ბევრია..

ო, უბედურებავ! ხალხი დღეს ფიქრობს იმაზე, რაც ათი-ოცი წლის-წინეთ უნდა ეფიქრათ..

რა შეუძლიათ მათ? განა იმ დამოუკიდებლობის ხანის გამეორება კიდევ შეიძლება? რათქმაუნდა, არა, ის უკვე ულმობელ ისტორიას ეკუთვნის.

მაშ რომელ ეროვნულ რევოლუციაზე-ღა ფიქრობენ? განა ისიც აღარ იციან, რომ **ეროვნული რევოლიუცია უკვე მოხდა ჯერ კავკასიის სამარცხვინო დამარცხებით (1921 წლის 25 თებ.) და მერე სახალხო აჯანყებით (24 წლის აგვისტო).**

ამ პერიოდში კავკასიელი ერი სულ ერთიან გამოიცვალა, განსხვავა აზრით, ფიქრით, მისწრაფებით..

სახლში მტრის შემოჭრის გამო მის გუნება-განწყობილებაში ნამდვილი ეროვნული გადატრიალება მოხდა და ახლა იქ ეს ეროვნული რევოლუცია პიროვნების და პარტიების გარეშე სტიქიურად ბრძოლას განაგრძობს..

ხვალ-ზეგ როდესაც დაემხობა წითელ რუსეთის ბატონობა და აღსდგება კავკასია ამ ეროვნულ რევოლიუციის გამარჯვება და დამთავრება იქნება.

მაშ როდის-და შეიძლება ეროვნულ რევოლიუციაზე ფიქრი? აღარასოდეს.. იგი უკვე მოხდა, იგი ბრძოლას, ზრდას განაგრძობს..

და მის ლაპარაკს, მის ფიქრს, მის წადილსა და მოქმედებას «მუზარადიზმი» ეწოდება ის ეროვნულ პიროვნების ყველა გულისთქმანი და მოძრაობანია.

……. რა უნდა ასულდგმულებდეს?

ის რომ, თუ შავ-რუსეთის ბატონობას ებრძოდა უსამშობლო საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობა და ტახტის დამხობის შემდეგ მომავალი მას დარჩა, დღეს პირიქით იმავე რუსეთის წითელ ბატონობას ებრძვიან არა უსამშობლო, არამედ ეროვნული ძალები და მომავალიც მათია.

ასე-რომ მუზარადიზმის გამარჯვების გზა ისე მკაცრ ისტორიულ აუცილებლობით ისე მოხაზულია, რომლის იქით არ გადაიბიჯების, რომლის წიაღში არც ხარვეზი გაივლების, რომლის არც ენა დამუნჯდების.

რა გვიშველის

ეს საკითხი მთელი თავის სიმძაფრით დგას კერძო პირისა და საზოგადოების წინაშე.,

«რა გვიშველის?» კითხულობს ყველა და პასუხი-კი ვერ მიუღია..

სულ დიდი რასაც კი იმედად ასახელებენ პარტიები თუ მოძრაობათა ბელადები არის ის რომ-, «მოვითმინოთ, რაღაც მოხდება»

ამ რაღაც მოხდენის შესაძლებლობასაც ერთი რიგის

კავკასიელი ლტოლვილები საბერძნეთში

(წერილი ათინიდან

როცა თურქეთიდან გვასახლებდენ საბერძნეთმა მიგვიღო იმ პირობით რომ ერთა-ლიგის უზრუნველყოფაზე ვიქნებოდით. მართლაც ერთა-ლიგა კაცის თავზე 40 დრახმს იძლეოდა, პური-კი ღირდა 8 დრახმი. ასე რომ მომჭირნეობით კაცი გამოდიოდა.

მერე ერთა-ლიგამ დაუკლო 30 დაიყვანა იმ დროს, როცა ცხოვრება ძალზე გაძვირდა: პური-12 დრახმი, ხორცი- 50, ლობიო- 24 და ასე შემდეგ. როგორ ეკონომიურადაც არ უნდა იცხოვროთ 30 დრახმით სამ გირვანქა პურსაც ვერ იყიდით. ჩვენ კი ამ ფულით თან-და ვჭამოთ, თან-და ჩავიცვათ. ამის გამო ლტოლვილები დიდ გაჭირვებაში, მათხოვარზე უარეს პირობებში ვიმყოფებით, რადგან წასვლა-წამოსვლის უფლებაც არ გვაქვს. ერთ კუნძულზე ტყვეებისავით მიყრილები ვართ და ძალიან ავათ უნდა გახდე, რომ ათინაში შესვლის ნება მიიღოთ.

სამუშაოზე ხომ ვერც იფიქრებთ. თუ შემთხვევით იშოვით, მეორე დღეს პოლიციელი მოგხსნით. საერთოდ ბერძები დიდ უთანაგრძნობლობას იჩენენ სულ ექვსი ლტოლვილი ვართ და თვითონ-კი ჩვენ სამშობლოში ათი-ათასობით მოწყობილნი არიან და კარგი პატივისცემა აქვთ. ეს უნდა იცოდეს მომავალ თაობამ. ასეთ პირობებში ერთა-ლიგასაც მივავიწყდით- აქ მისი წარმომადგენელი ავადმყოფთ წამლის ფულზეც უარს ეუბნება.

კავკასიელ ლტოლვილთ საბერძნეთში არ აქვთ ბინის ფული, ჩაცმის, წამლის, არ აქვს მუშაობის უფლება და წასვლა-წამოსვლის.

ამ გაჭირებაში ისევ აქ მყოფი ჩვენი მოძმენი გვეშველებიან: დიდ მორალურ დახმარებას გვიწევს ლტოლვილთ ბ. პეტრე ჩინელი. მერე ძალიან დიდ გულშემატკივრობას გვიჩენს, გვეხმარება ფულითა და ყოველნაირად ბ. კოსტა სუჯაშვილი. ორ ამ ჩვენ ძვირფას თანამემამულეს დიდ მადლობას ვუცხადებთ ყველანი მათ მაღალ პატრიოტულ გრძნობებისათვის

სეით თავზარი

ფრთხილად

მგონი ჟურნალ «კავკაზის» სახით თურქეთი დაზვერვას ეწევა თუ საბჭოთა რუსეთის დანგრევის შემდეგ სადამდის შეიძლება კავკასიის მოტყუებით აუნ დიპლომატიური საშუალებით აღება და რომლის იქით მოუხდება კავკასიის იარაღით დამორჩება. სხვა აზრის მიცემა და მით უფრო თურქეთ-კავკასიის თანხმობის ძიების- საშინელი უვიცობა იქნებოდა. ამიტომ დიდი სიფრთხილე გვმართებს რომ შეცდომით ის არ ვთქვათ, რაც მტერს უნდა.

ჩვენი თანამემამულეების პირით იგი სამშობლოს შუაგულ ქალაქებზე ბათუმ-ყარს-ართვინ-არტაან-ოლთის-ახალციხ-ახალქალაქზე სიტყვას გვიგდებს. ეს ის სტრატეგიული ადგილებია, ურომლისოდაც კავკასიას ერთი დღით არსებობა არ შეუძლია

ადამიანის შელოცვა უხსოვარ დროიდან არსებობს.. ზოგს წყალზე ულოცავენ. ზოგს ახალ მთვარეზე. ჩვენ თანამემამულეებსაც «ფულზე» ხომ არ შეულოცეს?

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ყურადღებას მაინც იპყრობს ბ. ავალიშვილი, რომელიც ქუჩაში ყველა წაქცეულს თავზე აწვება და ექიმის საბუთს უწერს «კვდარია დამარხეთო».. აბა ვინ ოხერია, რომ მის სიტყვით წაქცეული დამარხონ. ასევე ყალბ ოხრულსა და სასიცილო მდგომარეობაშია, როცა ის სამშობლოს წაქცეულ ადგილებს- ართვინს, არტაანს, ყარს, ოლთისსა და სხვებს მკვდრად აცხადებს და მათ დამარხვას ითხოვს.

საერთოდ ჩვენ კავკასიელები წაქცეულები ვართ და ასეთ პირობებში არავითარ თანხმობაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ჩვენ ჯერ უნდა წამოვდგეთ!

მუზარადელი

წინასწარმეტყველები ხედავენ ფაშიზმისა და რასიზმის საერთაშორისო გამარჯვებაში, მეორე რიგის, პირიქით, მათ საწინააღმდეგო დემოკრატიული პრინციპების აღდგენა მიაჩნიათ მხოლოდ ხსნად..

ერთნი გამარჯვების საბუთად ასახელებენ ფაშისტურ იტალიას, რასისტულ გერმანიას, აგრესიულ იაპონიასა და დასძენენ: «ეს უკვე ძალაა. აი ესენია შეთანხმებულნი საბჭოთა რუსეთის დანგრევაშიო»

მეორენიც არ უვარდებიან და უფრო მეტის რიხით დიდ დემოკრატიულ საფრანგეთის, დიდ დემოკრატიულ ინგლისის და დიდ დემოკრატიულ ამერიკის თანხმობაზე მიუთითებენ და დაასკვნიან «აი ძალა, რომელმაც მუსოლინის, ჰიტლერის ბატონობასთან ერთად სტალინის ძალადობაც უნდა დაანგრიოსო»

ამ ძალთა ბრძოლის ბედზეა დაგდებული კავკასიის ბედიღბალი.

იმედი კარგია, როცა ის ყოველ წუთს, ყოველ საათს ბრძოლაში გიწვევს და არ გალოდინებს, არ გადუნებს..

ან რა იმედია!

განა ეს იგივე არ არის, რომ კაცს კითხვაზე- «რა დააქრობს ზღვის პირს დანთებულს ცეცხლსაო» უპასუხო: „აგერ ზღვის წყალი, მოითმინე, აღელდეს, ნაპირებიდან გადმოვიდესო„

იჯდეს და უცადოს ზღვის გადმოსვლას..

იქნებ ზღვა ნაპირებიდან სულაც არ გადმოვიდეს, ან გადმოვიდეს და არა იმ ადგილას, ან გადმოვიდეს ასი ათასი წლის შემდეგ.. ამის იმედით როგორ იყოს ადამიანი.

ეს პასუხია? არა.. ეს საშველებაა ზღვის-პირ დანთებულ ცეცხლის დაქრობის? არა, არა.. მაშ სადაა შველა?

იმ კაცის წიაღში, იმ კაცის ხელისა და აზრის განძრევაში, ვის ცხოვრების აზრსაც წარმოადგენს დანთებულ ცეცხლის დაქრობა. ამ გარემოებას - კი არა სხვის, არამედ თვით მოქმედება ეწოდება, არა ლოდინი, არამედ ბრძოლა.

მართლაც, უზარმაზარ ზღვის შთაბეჭდილებიდან გათავისუფლებული და თავის ამარა დარჩენილი ადამიანი ძალა-უნებურად იფიქრებს ცეცხლის დაქრობის ხერხს აღმოჩენაზე: იქნებ ზღვის წყალი თვითონ გადმოიყვანოს, იქნებ სხვა რამ იღონოს..

ასეც დემოკრატიულ და არა დემოკრატიულ მოძღვრებათა ბრძოლის გვერდით გაჩენილია უშველებელი ხანძარი- საბჭოთა ქვეყანა.. კავკასიელის გულისყური მოუტაცია მოძრაობათა ბრძოლის მსვლელობას და უცდის თუ ბრძოლის ველი რომელს დარჩება, რომ შემდეგ იმან ეს ხანძარი- საბჭოთა ქვეყანა დააქროს..

არიან ზოგი ერთი „ხელთათმანის კაცები“, რომელთაც ვითომ ეს „მოძღვრებათა“ თუ „ფილოსოფიურ სისტემათა“ ნამდვილად კი თითეულ ერის თავის საქმეების მოგვარებისათვის ბრძოლა თავიანთ საკუთარ ბრძოლადაც მიაჩნიათ მაშინაც როცა ისინი მაგიდის წინ ყავას მიირთმევენ ე. ი. იმის ხელი თუ არა, გული ერთ-ერთ ბანაკთანაა მუდამ. ეს მეტი უბედურებაა.

კავკასიელის «გულ-ხელი» არ არის თავისუფალი სხვა დარდისთვის გარდა თავისი თავის.. მას ჯერ დედა-ფიქრი, დედა აზრი ჰყავს ტყვეთ.. მას ჯერ დედა-საქმე აქვს გასაკეთებელი

ეს ეროვნულად არსებობაა კაცობრიობის არც ერთ ასპარეზზე ჩვენ ეროვნულად აღარ ვარსებობთ, მოკლეთ ჩვენ არ ვარსებობთ და აი ჯერ ეს არსებობა უნდა აღვადგინოთ..

ჩვენი ფიქრით, თანაგრძნობითა და მოქმედებით მუდამ ამასთან უნდა ვიყვეთ და არა სხვაგან და შეუძლიან თუ არა კავკასიელთ ბანაკებათ დაყოფა? რომ ერთნი ერთ ბანაკს თანაუგრძნობდენ, მის გამარჯვებას, მეორენი მეორეს..

ყოვლად შეუძლებელია.. ისინი მუდამ ერთ ბანაკს უნდა ეკუთნოდენ ბანაკს თავიანთ თავის და სამშობლოს განთავისუფლების საზღვართან რომელი ძალაც ახლო მოვა, ის მიიშველიონ.

რომელი ძალა იქნება ეს? ფაშიზმი? იქნებ იყოს ფაშიზმი. რასიზმი? იქნებ იყოს რასიზმი..

დემოკრატიზმი? იქნებ იყოს დემოკრატიზმი ან იქნებ აზიის გამანთავისუფლებული ტალღა იყოს ან კიდევ სხვა ვინ უწყის..

ამის რჩევა-ამოცნობაში ჩვენ არ უნდა შევიდეთ..

ჩვენი ამოსაცნობი მხოლოდ ის არის, რომ ძალა-რომელიც უწინ გამოჩნდება და ხელს გამოგვიწვდის თვითონ არ უნდა ეკავოს არც ერთი ტკაველი კავკასიის მიწა-წყალი და არც-და უნდოდეს ასეთის დაკავება.

აბა რა ესაქმება კაცს თუ ცეცხლის დამქრობი წყალი როგორია: ღვრიეა თუ დაწმენდილი, ან მარჯვნიდან ჩამომდინარე მდინარეებისაგან შესდგება თუ მარცხნიდან.

მას ფიქრად მხოლოდ ის უნდა ჰქონდეს, რომ ცეცხლი დაქრება ნიადაგი წყალმა არ დაიკავოს.

სხვა არაფერი. მაგრამ შველა რომ არსაიდან გამოჩნდეს?

რა აღარ ვიყოთ, აღვიგვეთ ქვეყნიდან?

რომ ეს ასი არ მოხდეს, ჩვენ თვითონ უნდა ვიმოქმედოთ და ჩვენ თავივე უნდა მოვთხოვოთ ძალა განთავისუფლების. შედეგი ამის ისე ძვირფასი იქნება. რომ ვერც ერთ დიდ სახელმწიფოს დახმარება ამას ვერაფრით ვერ შესცვლის. მართლაც თვითმოქმედ კავკასიას შეუძლია თავის წიაღიდან ასიათასობით კარგი ღირსების მხედრობის გამოიყვანა, რომლებიც განთავისუფლების შემდეგაც სამშობლოს ბურჯათ იქნებიან. ამას კი ვერავითარი სხვა ძალის დახმარება ვერ მოგვცემს

ამასთან თვით მოქმედებით კავკასია თავის თავს ისტორიის ასპარეზზე გამოიყვანს, რაც განთავისუფლებასთან ერთად ასე საჭიროა და რასაც სხვათა დახმარება ვერასოდეს ვერ მისცემს.

და ბოლოს თვითმოქმედებით მას გაუჩნდება თავის ძალებისადმი რწმენა დამოუკიდებელ ცხოვრების დაცვის საქმეში — ეს სულყველაზე ძვირფასი რაცკია ქვეყანაზე და რასაც სხვა ვერ იძლევის.

აი რა გვიშველის და რა უშველის ჩვენ შვილის-შვილთ!

ისტორიაც ამას ლაპარაკობს

ჩვენი წარსულის ფურცლები გვეუბნებიან, რომ დავით აღმაშენებლის ასპარეზზე გამოსვლის დროს კავკასიის შუაგული «ქართლი» თურქებს ისე გატიალებული და აკლებული ჰქონიათ, რომ კაცი მთიდან დაბლა ჩამოსვლას, ან ტყიდან ვაკე ადგილებში გამოჩენას ვერ ბედავდა: «ვიდრემდის ცხენ-კეთილთა მხედართა-მიერ მოინახიან და მაშინ-ღა ჩამოვიდიან ვაკესა».

აბა დღეს რომელ კავკასიელს შეუძლია ქართლის გაშლილ ადგილას აშკარად გამოჩენა ისე, რომ მას კავკასიური ჩაცმულობაც ჰქონდეს, კავკასიური სული, კავკასიური სურვილები, მიმავალი კავკასიურ საქმეზე..

და რომელიმემ რომ გაბედოს კიდეც, ის თურქებზე არა ნაკლები სისასტიკით მიხვრეტილი იქნება ჩეკის სარდაფებში, ან გადასახლებული სამდამო სატანჯველად ცივ კატორღაში..

დღესაც კავკასიელი კავკასიურ საქმისათვის ფარულადაა გახიზნული მთებში, მიუვალ ადგილებს, როგორც ეს დავით აღმაშენებლის ასპარეზზე გამოსვლის დროს იყო და თავის უფლებას ისევ იარაღით დაეძებს.

აბა თუ ვინმემ თქვა, რომ კავკასიელ ერს ეს ადგილი ასე მწარედ ერთხელ კიდევ სტეხია და წამალიც აქ უნდა დაიდოსო.

არა მხოლოდ ზოგიერთები ზოგად ისტორიაზე მიგვითითებენ და იმათაც იმის გაგებაც არ აქვთ, რომ წამალს იმის-და მიხედვით კი არ ასმევენ რომ კაცი ავადაა. არა. ამ კაცს ჯერ ნატკენ ადგილს მოუნახავენ და მერე წამალს იქ დაადებენ, იმ წამალს, რომელსაც ერთხელ უკვე განუკურნია, თორემ უშუალოდ ავანტყოფზე ცდას როდის ახდენენ, როდის ეუბნებიან «იქნებ ეს მოგარჩენს, მოიცა ახლა ეს ვცადოო».

……

როგორ წამოაყენა აღმაშენებელმა წაქცეული კავკასია და აამაღლა მზიური მიმზიდველობით? რა ჯადო აყო ის, რომელმაც ეს სასწაული მოახდინა?

ეს იყო თვითმოქმედება, მხოლოდ თვითმოქმედება შემოქმედების ფრთებით გაშლილი!

ჩვენ რომ ხელთ გვქონდეს დავით აღმაშენებლის დაწყებითი ხანის «დროის სხეული» მთელ თავის აღნაგებით, სუნთქვითაც- ყურადღების დამატყვევებელი სურათი გადაგვეშლებოდა. სამწუხაროთ, ძალიან სამწუხაროთ რომ არ გვაქვს მისი რაიმენაირი გამოსახულებაც თუ გინდ მარტო საზოგადო აზროვნების განით, თორემ ჩვენი სიმახინჯის გამოსაჩენად უკეთესი სარკე აღარ იქნებოდა.

ვინ იცის, მაშინაც რა დოლი არ იყო გამართული ჯუჯა კაცების «ქვეყნის ხსნის» გეგმების ჩმახვაში, პარტიების შედგენაში ბელადობაზე გაგიჟებაში ისე, როგორც დღესაა..

ვინ იცის, რამდენი ცრუ სულიდამბალი არ დაწრწოდა დავალიერებულ ასპარეზზე.. «ლიპარიტის სული», სული განდგომის, ბატონობის, თავისი-თავის რჩენა ირად გაჩხერის უთუოდ მაშინაც ყოველ მოსახვევში, ყოველ ღობესთან დასჩხაოდა დაშლილ ერს ათასნაირ ხსნის გეგმების სახით..

დიახ მაშინაც რომ ბეჭვდა შესაძლებელი ყოფილიყო ისე, როგორც დღესაა- ასი თუ არა, ათი გაზეთი მაინც გვექნებოდა იმ დროის, სავსე ერთი მეორეზე ცილისწამებით ლანძღვა-გინებით, აჭრელებული წიგნებიდან უცნაური ამონაწერებით და უფრო გეგმებით, გეგმებითა და გეგმებით- ეს ნიშანი ჩვენი ერთი-მეორის ვერ მონელების, დაშლის, დაქვეითებისა და აზროვნების სრული უქონლობის.. გეგმები თუ «იდეოლოგიები» დგებიან სრული უჭკუობის გამო და ბუნებრივიცაა:-

უბრალოდ გზაში ურემი რო გადაბრუნდება მთელი ქუჩის «პირლიები» თავს იქ მოიყრიან, იქ გაჩნდება მათი ჭკუისა და მათი გამოჩენის ასპარეზი:

«შე კაცო, დაღუპულხარ,- ეტყვის პირველი მისული პირლია,- აგრე რომ არ გაგევლო არ გადაგიბრუნდებოდა, მაგრამ იმედიანად იყავ; გულს ნუ გაიტეხ და გზის ამ მხარეზე იარე მომავალში»..- მიუთითებს გახარებული იმით, რომ სხვებს დაასწრო ჭკუის სწავლება და თან დასძენს, რომ აი რაც გითხარ, ამას «იდეოლოგია» ეწოდებაო. მეორე პირლია წინააღმდეგ დაამტკიცებს, რომ ქვეყნის გაჩენიდან მეფეები გზის სულ იმ მხარეზე დადიოდენ. შენ რად გადაუხვიე, ურემი რად გადააბრუნეო.

ათასს «მეცნიერსაც» დაასახელებს უცხო ენაზე მუქარით: «დამიჯერე. თორემ ეხლავე დავბეჭდავ რასაც გეუბნები».

მესამე გზის შუაზე გაჩერებული თითის ქნევით მიმართავს: ნაპირთან ნუ, თორე ხრამში გადავარდები და ეგ გადაბრუნებული ურემიც აღარ გექნებაო».

სხვები კიდევ, ვინ იცის, რას არ იტყვიან.. და ყველა ამის გამგონი მეურმე მწარე ფიქრებში როგორ არ ჩავარდეს.

რათქმაუნდა, მან ერთმა იცის, რომ არის დრო და ადგილი, როცა ურემს მარცხნივ უნდა მიაწვეინო". არის დრო და ადგილიც, როცა მარჯვნივ, ან გზის შუაზე ტარება სჯობია.

ეს საიდუმლოება უცხოა პირლიებისათვის, უცხოა უბედურ შემთხვევის გარდუვალობაც. ისე ქვეყნის გადაბრუნებისა და დაცემის დროსაც..

ქვეყანასაც ათასი ცრუ-ჭკუის და ცრუ-გზის მასწავლებელი უჩნდება, რომელთათვის სრულიად უცხოა ქვეყნის ნამდვილი გულის თქმა და ამ გულის-თქმის საიდუმლოება.

……

დიდი გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იმედ-აღმძვრელი და მალოდინებული „ინტერნაციონალები“, „ერთა ლიგები“, «რასიზმები“, „ფაშიზმები» და სხვა ჩვენი დროის კუთვნილებაა და მაშინ არ იყვნენ..

ერთა ლიგები, ინტერნაციონალები უნომრო და ნომრიანები მაშინაც იქნებოდენ, რათქმაუნდა არა ამ სახით, არა.

ქვეყანა მაშინაც დიდი იყო და სადღაც, რაღაც მაშინაც ეღვიძა, რაღაც მაშინაც მოძრაობდა, აიმედებდა დაჩაგრულთ და ეს „რაღაც“ არა ერთი იქნებოდა. ამის გამო მაშინაც იქნებოდა «ორიენტაციები“ თუ რას მოუცადონ, რა მიიშველება და სხვა.

მარტო ის რომ მაშინაც ორი სამყარო მაჰმადიანიზმი და ქრისტიანიზმი ერთმანეთს აქტიურად ებრძოდა, გვაგონებს ჩვენი დროის ეროვნული და ანტი-ეროვნული ძალების დაპირდაპირებას..

და ვინ იცის, ადამიანთა სულის რამდენი მოძრაობა კიდევ არ არსებობდა ქვეყანაზე, რამდენი კომბინაციები და ინტერესთა დაჯახებანი ერთა და სახელმწიფოთა შორის იმედების დამყარებისათვის, პარტიებისა და გეგმების შედგენისათვის და დავით აღმაშენებელია ყველა ამას ბოლო მოუღო ფრიად მარტივ ეროვნულ იდეით თვითმოქმედებით..

მან ისტორიის ასპარეზზე აქტიობა გამოიყვანა მთელი ერის ეროვნულ შემოქმედების საშუალებით.

მართალია მან ყივჩაყნი გადმოიყვანა ვითომდა ძალა უცხო, მაგრამ ვინც შემოქმედების ბუნებას იცნობს, ის დაინახავს — რომ «ყივჩაყნი» ერთ-ერთი ელემენტია (თუ მასალას არ ვუწოდებთ) სამხედრო გეგმის იმავენაირი, როგორც დღეს ჰაერომფრინავები და ტანკები შეიძინოთ სხვა ქვეყნებში...

ის დამოყვრებასაც ახდენდა, მომხრეებს იჩენდა მეზობლებში, მაგრამ ეს არ იყო მფარველის ძებნა სხვის იმედზე ყოფნისათვის არა.. ესეც იმავე გეგმის სხვა ელემენტია. არასოდეს დავით აღმაშენებელს ბრძოლის ინიციატივა სხვისთვის არ დაუთმია და კავკასიელი ერიც ასე მხნე და უძლეველი არასოდეს არ ყოფილა. აი ჩვენი შთაგონება, ჩვენი იმედი და ჩვენი მოქმედების ნამდვილი გზა.

საყურადღებოა, რომ თანამედროვე კავკასიურ აღორძინების წინამორბედი, ადამიანი ნათელი გონების და დიდი შემოქმედებითი ბუნების პროფ. ივანე ჯავახიშვილიც კავკასიელთა იდეალს დავით აღმაშენებელში ხედავს და არა ჩვეულებრივად მიღებულ «თამარ მეფეში», როცა ის თავის უკვდავ «ქართველი ერის ისტორიის» ფურცლებზე აღმოთქვამს: «მაგრამ არსებობს აგრეთვე სხვა უფრო მკაცრი და ულმობელი მსჯავრიც შთამომავლობისა, ერისა და ისტორიისა, რომელსაც ვერ ასცდება ხოლმე ვერც ერთი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწე. და მან დიდიხანია უკვე რაც თავისი პირუთვნელი განაჩენი გამოსთქვა: ქართველმა ერმა და ისტორიამ უკვდავ ჰყო დიდებულ მეფე დავითის, საქართველოს გამაერთიანებლის და აღმაშენებლის, მისის პოლიტიკურისა და ეკონომიურის ძლიერების შემქნელის, სოციალურ სამართლიანობისათვის მებრძოლის სათაყვანებელი სახელი.

ქართველი ხალხი დავით აღმაშენებლის სამარადისო ხსოვნას თავის გულის სიღრმეში ატარებს და შეჰხარის მას ვითარცა სრულიად საქართველოს ერთობისა და ძლიერების სიმბოლოს.»

[პროფ. ივ. ჯავახიშვილი «ქარ. ერის ისტ.» წ 11,გვ 542]

დიახ, ეს ერმაც თქვა, ისტორიამაც-მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ პოლიტიურ პარტიებმა თუ ჯგუფებმა[ჩვენ არ ვლაპარაკობთ გამონაკლისებზე, რომლებიც ქვეყნის იმედათ მუდამ ყოფილან და იქნებიან] ვერც ერის ხმა გაიგონეს, ვერც ისტორიის მსჯავრი გაიგეს, ვერც დიდი ადამიანის ამოთქმა და ყველა ახალ-ახალს თავისას თხზავს. თავის თავს ერზე წინ აყენებს, თავის მსჯავრს ისტორიისაზე...

ამიტომ ჩვენი მსჯავრიც მკაცრი აღარ იქნება, თურომ ასეთ გამოსახულებას მივცემთ მათ საქციელს:

თქვენ რომ ერთ ყანაში მრავალი გუთანი დაინახოთ, ხარებ გაბმული, მხრეები და გუთნის-დედებიც ყანის ხვნით გატაცებულნი და გუთნები-კი თავყირა ამობრუნებული ეჭიროთ.. თვალს არ დაუჯერებთ, გაოცებულს ხარები შეგებრალებათ, დაგენანებათ მეხრეების გულუბრყვილო ურმულიც და მწარედ ატირებული იტყვით თავყირა ამობრუნებულ გუთნებზე «ჰო ესენი არიან ჩვენი პოლიტიკური პარტიებიო!»

ინდო ინასარი

Le gérant: *M. Mouskelichvili*

Imp. Nikichine, 1, villa Chauvelot — Paris XV